№ 291 მთავრობის ორგანო ისტორიული გაზეთი წელიწადი მესამე

საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 10 მან. ლიხპურათი, დეკემბრის 22 1920 წ.

მთავრობის ნებართვით, უოფიციალური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 200 მან.; ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 20 მან. 4-ზე გ. 15 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 500 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 260 მ. სასამართლ. უწყ. განცხადები. ანი 120 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ზიხრზე მეტი 20% რედაქციის და კანტ მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—8

სახელმწ. თეატრი.

ოპერა.

ოთხშაბათს, 22 დეკემბერს

„აბესალომი და ეთერი“

ხუთშაბათს, 23 დეკემბერს „სიმფონიური კონცერტი“ ა. პ. ბოროვსკის და ე. ი. ბელოუსოვის, პარასკევს 24 დეკემბერს ბალეტის საღამო მორდკინისა „კარნავალი“ შაბათს, 25 დეკემბერს მუშებისთვის ოპერა “ღალატი“, კვირას, 26 დეკემბერს „ტოსკა“.

დასაწყისი სრულ 8 საათზე საღამოს. 1011 1—1

საკვაჭრო ამხანაგობა „ივანე ილიასძე ვაჭილოვი და კომპ.“

ქ. ბათომში ამით საყოველთაოდ აცხადებ, რომ მისი შემადგენლობიდან გავიდა ამხანაგობის წევრი

იოსებ იოსების ძე კრეისერი

და ამიტომ ყოველგვარი მინდობილობანი, როგორც მასზე, ისე მის მიერ გაცემულნი გაუქმებულია.

4357 1—1

ოფიციალური განყოფილება.

მიწად-მოქმედების მინისტრის ამხანაგისა.

16 ნოემბერი, 1920 წ., № 411.

ინიშნება: ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სკოლის ყოფილი გამგე ალექსანდრე შარაშიძე ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო საშუალო სასწავლებლის ინსპექტორად ა. წ. ოქტომბრის 1-დან.

16 ნოემბერი, 1920 წ., № 412.

დათხოვნილია თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან, პასუხისგებაში მიცემით: გაგრის ტყის გამგის თანაშემწე ბესარიონ სიმონის ძე მჭედლიძე სამსახურში ბოროტმოქმედების ჩადენის გამო ა. წ. 20 ივნისიდან.

19 ნოემბერი, 1920 წ., № 413.

დათხოვნილია თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: სასოფლო-მეურნეობის განყოფილების სპეციალისტი ალექსანდრე კორინთელი, თანახმად თხოვნისა 1-ლ დეკემბრიდან.

18 ნოემბერი, 1920 წ., № 414.

დათხოვნილია თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან, პასუხისგებაში მიცემით: გორის ტყის გამგის თანაშემწე ზ. ი. ტერიევი, ა. წ. 15 ნოემბრისთვიდან სამსახურში ბოროტმოქედებათა დაშვების გამო.

20 ნოემბერი, 1920 წ., № 415.

დანიშნულია: დავით გიორგის ძე ბოგველაძე ტყის გამგის მე-2 ხარ. თანაშემწის თანამდებობაზე ა. წ. 20 ნოემბრისთვიდან.

23 ნოემბერი, 1920 წ., № 416.

ინიშნება: სიღნაღის ტყის გამგე იაკობ ნიკოლოზის ძე ფრუიძე, იმავ თანამდებობაზე ყარაიფზის სატყეოში ა. წ. 22 ნოემბრისთვიდან.

20 ნოემბერი, 1920 წ., № 417.

ინიშნება: მიწად-მოქმედების კომერციულ საკრებულოს წევრებათ: დავით გიორგის ძე ჩადუნელი და დროებით მიხეილ ევთიმეს ძე ბიბინეიშვილი ა. წ. 16 ნოემბრიდან.

20 ნოემბერი, 1920 წ., № 418.

ინიშნება: ქუთაისის ტყის გამგის 2 ხარ. თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელი მიხეილ საჩინოს ძე მინდიაშვილი და გრიგოლ იესის ძე ჩანუკვაძე ტყის გამგის 1 ხარ. თანაშემწის თანამდებობაზე.

25 ნოემბერი, 1920 წ., № 419.

დათხოვნილ იქმნას: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან, თანახმად თავის თხოვნისა, გადასახლების განყოფილების მთანარიე ნადეჟდა ოქროპირის ასული სვანიძე ა. წ. 24 ნოემბრიდან.

25 ნოემბერი, 1920 წ., № 420.

დანიშნულია: პეტრე ანატოლის ძე რუდაკოვსკი, ტყის გამგის მე-2 ხარ. თანაშემწის თანამდებობაზე ამავ წლის 24 ნოემბრიდან.

29 ნოემბერი, 1920 წ., № 421.

დანიშნულია: ა. წ. 27 ნოემბრისთვიდან ტყის გამგის თანაშემწე სოლომონ ეფთიმის ძე იუსელიშვილი გორის მე-2 ხარ. ტყის გამგეთ. გორის ტყის გამგე გიორგი დენისის ძე იაროშენკოა თენის ტყის გამგეთ.

№ 422.

დანიშნულია: შაქრის ტყის გამგის თანამდებობის აღმასრულებელი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ივანიცკი, სიღნაღის ტყის გამგის თანამდებობაზე ა. წ. 26 ნოემბრისთვიდან.

მიწათ-მოქმედების მინისტრის
ამხანაგი **მალანია.**

—

საქციზო სამმართველოს უფროსისა.

18 ნოემბერი, 1920 წ., № 76.

დაინიშნა: საქციზო სამმართველოს საქმის მწარმოებლის თანაშემწე თამარ გაბრიელის ასული გერასიმოვისა ჩაის გამნაწილებელ გახყოფილების დროებით კონტროლიორის თანამდებობის აღმასრულებლად 1920 წლის ნოემბრის 16-დან.

№ 77.

დაინიშნა: საქციზო სამმართველოს მანქანაზე გადამწერი ელენე გიორგის ასული რომელაშვილი ამავე სამმართველოს საქმის მწარმოებლის თანაშემწის დრ. თანამდებობის აღმასრულებლად 1920 წლის ნოემბრის 16-დან.

27 ნოემბერი, 1920 წ., № 78.

დაინიშნა: ქ. ტფილისში თამბაქოს ფაბრიკის კონტროლიორის დროებით თანამდებობის აღმასრულებლად პავლე ანტონის ძე კოსსინსკი 1920 წლის ნოემბრის 21-დან.

29 ნოემბერი, 1920 წ., № 79.

დაინიშნა: საქციზო სამმართველოს რეგისტრატორის დროებით თანამდებობის აღმასრულებლად ბარბალე სპირიდონის ასული წერეთელი 1920 წლის ნოემბრის 27-დან.

1 დეკემბერი, 1920 წ., № 80.

დაინიშნა: ბათომის ოლქის აქციზის ინსპექტორის კანცელარიის რეგისტრატორი ნინო ბახტაძე დროებით ბუჰხალტრის თანამდებობის აღმასრულებლად იქვე 1920 წ. ნოემბრის 21 დან.

საქციზო სამმართვ. უფროსი **ხ. ბაქრაძე.**

საბაჟოს ნაწილის უფროსისა

16 ნოემბერი, 1920 წ., № 118.

დანიშნულნი არიან: ბათომის საბაჟოში: ფოთის საბაჟოს მდივნის უმცროსი თანაშემწე ვლ. ჟვანიძე—მდივნის უმცროს თანაშემწის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად; იმავე საბაჟოს ბუჰხალტრის უმცროსი თანაშემწე სან. შვილი—მდივნის უმცროს თანაშემწის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად; იმავე საბაჟოს ბუჰხალტრის უფროსი თანაშემწე გრ. კაკულია—ბუჰხალტრის უფროსს თანაშემწის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად; ბათომის საბაჟოს კანცელარიის მოხელე დავ. ლორთქიფანიძე—ბუჰხალტრის უმცროს თანაშემწის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად; იმავე საბაჟოს მოლარის უმცროს თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელი ალ. ფალავა—გემთა ზედამხედველის უმცროს თანაშემწის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად; იმავე საბაჟოს გემთა ზედამხედველის უფროსი თანაშემწის თანამდებობის დროებით აღმასრულებელნი სანაია და ვირუბოვი—საწყობის ზედამხედველის უფროს თანაშემწის დროებით თანამდებობის აღმასრულებლად; იმავე საბაჟოს გემთა ზედამხედველის უმცროსი თანაშემწის თანამდებობის დროებით აღმასრულებელი ალ. ჯაფარიძე—საწყობის ზედამხედველის უმცროს თანაშემწის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად.

ფოთის საბაჟოში: ბათომის საბაჟოს საწყობის ზედამხედველის უმცროს თანაშემწის თანამდებობის დროებით აღმასრულებელი კიკნაძე—მდივნის უმცროს თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად.

ზემოაღნიშნულნი პირნი დანიშნულნი არიან თავიანთ თანამდებობაზე ა. წ. 1 ნოემბრიდან.

გაჩორობა მრეწველობის სამინისტროს
საბაჟო ნაწილის უფროსი **ბ. მიქაძე.**

არა ოფიციალური განყოფილება.

საგარეო საქმეთა მინისტრის პროტესტი

საგარეო საქმ. მინისტრის მოადგილემ ბ. საბახტარაშვილმა საქართველოს მოქალაქეთა დახვრეტის გამო შემდეგი პროტესტით მიმართა ადერბეიჯანის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს ჰუსეინოვს.

(პირი საქართველოს სრულ უფლებიან წარმომადგენელ ხუნდაძეს).

ჩვენ მიერ მიღებულ ოფიციალურ ცნობებით მე-11 ჯარის საგანგებო გახყოფილებას დაუხვრეტია საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი: პლავსკი, საყვარელიძე, გომელაური, ხვიჩია, ქუთათელაძე და ჩხეიძე. საგანგებო გახყოფილებამ გამოიტანა განაჩენი, რაიცა იყო არა სასამართლოს კვლევაძიების, არამედ საქმის ადმინისტრატიული წარმოების შედეგი.

ვაცხადებ რა, კატეგორიულ პროტესტს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა მიმართ მართლსჯულების ელემენტარულ საფუძვლების უსამართლოთ დარღვევის გამო, ამით მოვითხოვ ამ საქმის სასწრაფო გამოძიებას და ნთელ საბრალმდებლო მასალის საქართველოს სრულ უფლებიან წარმომადგენლისადმი გადაცემას. № 11.100.

საგარეო საქმეთა მინისტრეს მაგ. **ხაბახტარაშვილი.**

დეკ. 21, 1920 წ.

უცხოეთი

მონ ბლანის მთის წვერის ჩამონგრევა.

გაზეთ „ეხო და პარის“ გადმოცემით 25 ნოემბერს ევროპის ყველანაირნავ და უმაღლესი მთის მონ ბლანის წვერი თითქმის სრულიად ჩამონგრეულა, რომელსაც თან წამოღებია დიდი ყინვის ლოდები და ქვები. ეს აუარებელი ზვავი გადმონგრეულა ერთ იტალიელ სოფელში პურტუდში. ადამიანთა მსხვერპლი არა ყოფილა. გაუნადგურებია ტყე და მდინარე დუარისთვის სავალი გზა უცლეინებია. ამასთანავე გაზეთი შიშს გამოსთქვამს, რომ მონ-ბლანის მთის წვერის ნგრევა შეიძლება კვლავ გაგრძელდეს დიდი ზიანი მიაყენოს ახლო-მახლო მდებარე სოფლებს და მთის წვერიც იქნება დაპატარავდეს და ევროპის სხვა მთები აღემატოს მონ-ბლანს თავიანთ სიმაღლითო.

რევოლიუცია ირლანდიაში.

კორკში კვლავ გრძელდება რევოლიუციონური მოძრაობა. დუბლინში მრავალი მეამბოხენი დაიჭირეს, ინგლისის ოფიცრები ირლანდიაში ველარ დგებიან. ხალხი ქუჩებში პროკლამაციებს ავრცელებს. მღელვარება ერთობ ძლიერდება და რევოლიუციონური ალი გრანდიოზულ სახეს იღებს.

ბოლშევიზმის წინააღმდეგ.

რუსეთის სავაჭრო-მრეწველობის მოღვაწეთა კავშირმა მიიღო კონსტანტინეპოლში არსებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საბჭოს რეზოლიუცია ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლის განგრძობის აუცილებლობის შესახებ: რეზოლიუცია აღიარებს ვრანგელს რუსეთის მთავრობის წარმომადგენლად და მთავარ სარდლად. რეზოლიუცია აღიარებს საჭიროებას ყველა ანტიბოლშევიკურ ძალების გაერთიანებისას და სრულიად რუსეთის კომიტეტის ორგანიზაციის მოწყობისას ანტიბოლშევიკურ ოპერაციების ხელმძღვანელოდ.

საკონცესიო ხელშეკრულება.

ამერიკის ბანკირმა ვანდერლიბმა „დეილი-მეილის“ კორესპონდენტთან საუბრის დროს განაცხადა, რომ მან საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელთან დასდო საკონცესიო ხელშეკრულება ცრმბირშ და კამჩატკაში არსებულ რკინის გზების ექსპლოატაციის შესახებ. საკონცესიო ხელშეკრულება დადებულია 60 წლის ვადით. თავის მხრივ ამერიკელი კაპიტალისტები, რომელთა წარმომადგენლად ითვლება ვინდერლიბი, ვალდებულნი არიან მიაწოდონ რუსეთს 600 მილიონი ვირვანჭა სტერლინგის ღირებულის საქონელი, რომელიც ანაზღაურებულ უნდა იქნეს რუსეთის ნედლი მასალით. ამერიკის კაპიტალისტები ვალდებულნი არიან მიაწოდონ რუსეთს ჰიდროპლანები, რკინის გზის მოძრავი შემადგენლობა, ორთქლმავალები და სხვა. ამასთანავე ვანდერლიბმა განაცხადა, რომ ამერიკის მთავრობას არ შეუძლია თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ბოლშევიკებთან და რომ ამერიკა ბოლშევიზმს ჯერ კიდევ უარყოფითათ უყურებს. საფრანგეთმა და ინგლისმაც რომ იცნოს საბჭოთა მთავრობა, ამ გზას ვაშინგტონი მაინც არ გაჰყვება.

დეპეშები

(საქართ. დეპ. სააგენტო.)

ჩეხო-სლოვაკიის საგ. მინისტრი.

ჩეხო-სლოვაკიის საგარეო მინისტრი პარიზში ჩავიდა. იგი აქ განიხილავს ზოგიერთ პოლიტიკურ საკითხებს საფრანგეთის მთავრობასთან ერთად.

საფრანგეთის ვენის რაოდენობა.

მიმდინარე კვირაში ფრანსუა მარსაალი მოახსენებს პალატას უკანასკნელ სენის ოფიციალურ შედეგს. მიუხედავათ იმისა, რომ ეს ცნობა საიდუმლოთ ინახება, ფიქრობენ, რომ სენის საერთო ციფრი 30 მილიარდს აღემატება.

სავაჭრო ფლოტის აღდგენა

ბერლინიდან იუწყებიან: ჰამბურგში წარმოთქმულ თავის სიტყვაში საზოგადოებრივ მეურნეობის მინისტრმა განაცხადა, რომ ჩვენი ერთად-ერთი მიზანი პარის გერმანიის სავაჭრო ფლოტის აღდგენაა.

გერმანიის ბედი..

სახალხო პარტიის დეპუტატმა პალატაში წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა, რომ გერმანიის მომავალი ფინანსები და საერთოთ გერმანიის იმპერიის ბედი დამოკიდებულია ბრიუსელში წარმოებულ მოლაპარაკებაზედ. დეპუტატმა განაცხადა, რომ გერმანია ვერასდროს ვერ შესძლებს ზარალის ანაზღაურებას, თუ იგი არ ამაღლდა ეკონომიურათ. ამაღლების ერთ-ერთი ფაქტორი კი არის რუსეთთან კომერციულ დამოკიდებულების აღდგენაო.

მონარქისტების გამარჯვება ხალანმდებლოს არჩევნებში.

მადრიდიდან იწერებიან: საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებში იმარჯვებენ მონარქისტები. მათ შედარებით სხვა პარტიებთან ხმის დიდი უმრავლესობა მიიღესო. სოციალისტებმა მიიღეს 2 ადგილი. რესპულიკანელებს და ფედერალისტებს არც ერთი ადგილი არ მიუღიათ.

ბირჟის კურსი.

ლონდონი ?- ?—45 ½, ნიუორკი 17--11 ½, გერმანია 23, ბელგია 105 ½, ესპანეთი 219 ½, საბერძნეთი 128 ½, ჰოლანდია 531, იტალია 58, პრაგა 19 ¾ რუმინეთი 18 ½, შვეიცარია 260, ვენა 4.

მ. ჰუსეინოვი საქართველოს შესახებ

ბაქოს „საბჭოს“ სხდომაზე მ. ჰუსეინოვი სომხეთის რესპუბლიკის საკითხის განხილვის დროს, შეხებია საქართველოსაც, რომლის შესახებ შემდეგი უთქვამს: „ამხანაგებო, დღეს თქვენ ხედავთ ამიერ-კავკასიაში მხოლოდ ერთ არა საბჭოთა რესპუბლიკას—საქართველოს. ჩვენ ვფიქრობთ, ამხანაგებო, რომ საქართველოს მთავრობა და ქართველი ხალხი შეიგნებს იმ მომენტს, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით. ქართველმა ხალხმა ხმა მაღლა უნდა სთქვას, რომ მას სურს საბჭოთა რუსეთთან, საბჭოთა ადერბეიჯანთან და საბჭოთა სომხეთთან ერთად სიარული. ამხანაგებო, დგება მომენტი, რომელზედაც ჩვენ ასე დიდ ხანი ვოცნებობდით: გაერთიანებული რევოლიუციონური ფრონტი—მოსკოვიდან დაწყებული ანატოლიამდის“.

საბჭოთა რესპუბლიკის შაფერები კიდევ იმედს არ იტეხავენ. სომხეთი და ადერბეიჯანის გაწითლების შემდეგ ეხლა საქართველო უნდა გაათწილონ. სომხეთ-ადერბეიჯანში ჯოჯოხეთურ ცეცხლის დანთების შემდეგ საქართველოშიაც ლამობენ თავიანთ ალის გადმოსროლას. სომხეთ-ადერბეიჯანის ხალხს დაღუპვას არა კმარობენ და ქართველი ხალხიც სურთ დაღუპვის გზაზე დააყენონ. ვერ იქნა და ვერ შეურიგდენ იმ აზრს, რომ საქართველო მათ დაგებულ ანკესზე არ წამოეგება და არ დაადგება დამღუპველ ხაზზე. ამ „სხვა აცხონე“ ვაჟბატონებმა დროა გაიგონ, რომ საქართველო უმოსკოვოდაც კარგად განაგებს თავის საქმეებს და სხვისი დახმარება და ხელის ფათური მას არა სჭირია.

ჩეხო-სლოვაკიის ეკ. კომისია.

კავკასიაში მყოფი ჩეხო-სლოვაკიის ეკონ. კომ. გთხოვთ გამოვაცხადოთ შემდეგი: ადგილობრივ პრესაში, რადიო დეპეშების გაყოფილებაში დეკემბრის 19 მოთავსებული იყო გერმანული ცნობა, სლოვაკიაში საერთო გაფიცვებისა და მრავალ ადგილას მთავრობის ჯარისა და გაფიცულთა შორის მომხდარ შეტაკების შესახებ. ეს ცნობა არა თუ არ შეეფერება სინამდვილეს, არამედ არაფერს ამის მზგავსს არ ქონია ადგილი. ეხლახ ნ დაბრუნდა ტფილისში ჩეხო-სლოვაკიიდან ცენტრკომისიის რწმუნებული ბ. კუნი იქ არამც თუ საერთო გაფიცვების სიმპტომები, არ ყოფილა, არამედ კერძოსიც კი, და არც შეიძლება ყოფილიყო, რადგან ჩეხო-სლოვაკიის მუშათა სოციალური მდგომარეობა იმდენად დამაკმაყოფილებელი რომ მათ არ აქვთ არავითარი საბაბი გაფიცვების გამოცხადებისათვის. იმ მოკლე დროს განმავლობაში, როდესაც რწმუნებული გზაში იყო არ შეიძლებოდა მომხდარიყო ასეთი გაფიცვები. რაც შეეხება ცნობას მთავრობის ჯარისა და გაფიცულთა შორის მომხდარ შეტაკების შესახებ, კიდევც რომ ყოფილიყო გაფიცვები, მთავრობა მაინც არ მიმართავდა გავლენის ასეთ საშუალებას. ვიღაცას სურს გააფრცელოს განზრახ ასეთი ყალბი ცნობები იმით შეუშალოს ხელი ჩეხო სლოვაკიისა და საქართველოს შორის მჭიდრო სავაჭრო ეკონომიური კავშირის, დადებას. უკანასკნელ ცნობებში, რომელიც ცენტრო კომისიის რწმუნებულმა კონსტანტინოპოლში მიიღო, გაფიცვების შესახებ არაფერი არ არის ნათქვამი.

ფრონტის დამხმარე მთავარ კომიტეტში.

გაზეთი „შობის ფრონტის დღე“-სათვის.

ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი ამ დღისთვის სცემს გაზეთს, სადაც იქნება მოთავსებული პატარა წერილები ფრონტის შესახებ, ყველა ჩვენი პოლიტიკურ მოღვაწეთა და მწერლებისაგან. მთავ. კომიტეტი სთხოვს ყველა ჩვენს პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთ, მწერლებს, სამხედრო პირებს და სხვებს გამოგვივზავნონ თავიანთი წერილები 23 დეკემბრამდე სასაბლეში კომიტეტის თავმჯდომარესთან ს. მ. ჯორჯოლიანთან ან ტფ. ქალაქის თვითმართველობის სტატისტიკურ განყოფილებაში ა. რუხაძესთან

სხდომა

დღეს, 22 დეკემბერს, ნაშუადღევის 1-ველ საათზე დანიშნულია თავდაცვის ფონდის პრეზიდიუმის ფინანსიურ კომისიის და ფრონტის დამხმარე კომიტეტის საფინანსო კომისიების სხდომა საფინანსო საკითხებში მუშაობის შესაფარდებლად.

მუშაობა პროვინციის კომიტეტებში.

პროვინციიდან მიღებულ ცნობებით ადგილობრივი ფონდის კომიტეტები შეუდგენ მუშაობას.

სომხური და ოსური სექციები.

კომიტეტის თავმჯდომარის ს. მ. ჯორჯოლიანის სახელზე მოვიდა განცხადება სამხედრო სამინისტროს კულტურულ განმანათლებელ სექციის თავმჯდომარის პოლკ. ართმელაძისა, რათა თავს იდვას აღნიშნულ კულტურულ განყოფილებასთან გახსნან სომხური და ოსური სექციის შესანახი ხარჯები.

მანდატების მოთხოვნა.

კომიტეტი სთხოვს მოქალაქეთ, კომიტეტის წარმომადგენელთ ნივთების აკრეფის დროს მოსთხოვონ შესაფერისი მანდატები და აკრეფის საკვიტანციო წიგნები.

მოწოდება.

მთავარ კომიტეტმა შემდეგი მოწოდებით მიმართა ახალგაზდა საქართველოს:

„ფრონტი ბავშვია—ფრონტს ალერსი სჭირია, ფრონტს ცოტა რამ გაამხნევებს“.

ვალ. ჯუღელი.

პატარებო, მოსწავლენო, ახალგაზრდობავ! თქვენ მომავალსა და ბედნიერ, თავისუფალ სამშობლოს ჩვენი მებრძოლნი, ფრონტზე მდგომი მეომარნი ქმნიან. ბედმა თქვენ არ გარგუნათ იარაღით ხელში დაიცვათ თქვენი ტკბილი და ტურფა ქვეყანა.

ერის კეთილდღეობისათვის მოზარდი თაობა ღვრის სისხლს.

სიც ვეში, ყინვაში, გაჭირვებაში ფრონტზე მყოფთ თქვენს დამცველთ, ჯარისკაცებსა და გვარდიელთ თქვენი თანაგრძნობა გაამხნევებს, მათ შესძენს ახალ ძალას და განსაკუთრებით თქვენი, ახალგაზრდობის ალერსი ფრონტისადმი საჭიროა.

ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი

25 და 26 დეკემბერს (ახალი სტილით) ქუჩაში, სასახლის წინ სდგამს „ფრონტის შობის ხეს“ და ამ ორი დღის განმავლობაში თქვენგან, დილის 10 საათიდან დაწყებული, ნაშუადღევის 3 საათამდის მიიღება „ფრონტის შობის ხ ს“-თვის საჩუქრები. ემხადეთ ამ დღეებისთვის.

დაიხმარიეთ მშობლები, ნათესავები და მეიტანეთ შობის ხესთან თქვენის ხელით, რამდენიც და რაც იშოვოთ: თეთრეულობა, თბილი რამ წინდები, ხელთათმანები, თუთუნი, ასანთი, პაპიროსი, საპონი და ის, რაც გამოადგება ფრონტს. დასწერეთ ბარათებიც უცნობ მეომართადმი გასაგზავნათ.

არც ერთი ახალგაზრდა არ უნდა დარჩეს სასახლესთან მოუსვლელათ!

დაამტკიცეთ, რომ რესპუბლიკანურ სამშობლოს ღირსნი შვილნი ხართ.

დააფასეთ თქვენი უფროსთა თავდადება!

პროვინციის საუურადღებოდ,

ფრონტის მომწყობი მთავარი კომიტეტისაგან.

ჩვენი დემოკრატიული და დამოუკიდებელი სამშობლო ძლიერდა თავის ერთობით. საქართველოს შვილთა მიერ იმის შეგნება, რომ მათი საქმე წმინდა და ჭეშმარიტია—მათ სძენს უდიდეს ძალასა და ხნეობრივ შეგნებას უორკეტებს.

მუდმივი ჩვენი გამარჯვება ჩვენი ქვეყნის სიმართლეში, მის მოქალაქობრივ შეგნებასა და გაერთიანებაშია.

ჩვენში ფრონტის გაჩენის დროს არ არსებობს ფრონტი ცალკე, და „ზურგი“—სამშვიდობო კი ცალკე: მთელი რესპუბლიკა ერთიანებით, ერთის სურვილითა და გამარჯვების მოპოებითაა აღტკინებული.

ასე იყო ყოველთვის, ასე უნდა იქნეს დღესაც. მაშ სიტყვები აღარ არის საჭირო.

საქმეს, ყველამ საქმეს მიხედოს.

რესპუბლიკის სატახტო ქალაქი ეწევა ფრონტზე მდგომ მეომართა დახმარების საქმეს და შედეგს აღწევს, სამშვიდობოს დარჩენილი პირნათლად იხდიან თავის მოვალეობას ერის თავმოყვარეობისა და უფლების დამცველთა წინაშე.

საქართველოში არ უნდა დარჩეს არც ერთი კუნჭული, კუთხე, განსაკუთრებით ქალაქები, რომ არ ჩაებას საერთო ფერხულში ფრონტის გამაგრების საქმეში.

შაბათს, 25 და კვირას 26 დეკემბერს (ახალი სტილით ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი რესპუბლიკის სატახტო ქალაქში აწყობს „ფრონტის შობის ხის დღეებს“.

ღირსშესანიშნავი და ნაყოფიერი უნდა იყოს ეს დღეები საქართველოს ყველა ქალაქებში.

მოგიწოდებთ: 25 და 26 დეკემბერი ვადაქციოთ ჩვენი გაერთიანების, ფრონტისა და ზურგის ერთი მიზნით, გამარჯვების მოპოების სურვილით გამსჭვალვით. ფრონტის ადგილობრივ კომიტეტებმა ყველგან იქონიეთ ამ დღეებში „შობის ხე“, რომლის გარშემო გაიჩაღეთ თქვენი მუშაობა, ხოლო ეს მუშაობა ისეთი უნდა იყოს, როგორც ცენტრში: ყველგან საერთო წესები უნდა იყოს დაცული. „შობის ხემ უნდა ემსახუროს ამ მიზანს: ფრონტის ზნეობრივისა და მატერიალურ დახმარების საქმეს. ეს დღეები დღესასწაულებათ უნდა გადაიქცეს. საჭიროა:

1) ყველგან, პროვინციაში ამ დღეებში ერთსა და იმავე დროს მოხდეს „შობის ხის“ მოწყობა.

2) შემოწირულებები ფრონტისთვის უნდა შეიცავდეს: თეთრეულობას, წინდა-ხელთათმანს, თუთუნს, ასანთს, პაპიროსს; საპონსა და სხვა ფრონტისთვის გამოსადეგ საგნებს.

3) შემოწირულებათა მოკრეფისთანავე—ყოველივე ეს უნდა გადმოიგზავნოს ტფილისში ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტის მისამართით სასახლეში.

შენიშვნა: ეს საჭიროა იმისთვის, რომ უფრო სასურველათ განაწილდეს საჩუქრები ფრონტზე და ყოველ მეომარს შეხვდეს, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი მუშაობა მიზანს ვერ მიაღწევს, მოხდება გაუგებრობა.

4) ყოველივე ხარჯები შემოწირულებათა ტფილისში გადმოსაგზავნათ უნდა იკისროს ადგილობრივ კომიტეტებმა (სასურველია შემოწირულებები გამოიგზავნოს კაცის ხელით).

5) „შობის ხის“ მოწყობა-გამართვის პროგრამის შედგენა და აგრეთვე ამ დღეებისთვის მხარეების მოწყობა უნდა იკისროს ადგილობრივ კომიტეტმა.

დაუყონებლივ საქმეს შეუდგეთ.

არ ჩამორჩეს არც ერთი კუთხე.

ყოველივე შეკითხვაზე კომიტეტი პასუხს გასცემს დეპეშით პროვინციას.

მისამართი: **სახალხო, ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი.**

დიდება და პატივისცემა ჩვენს თავდაცვის საქმეს.

ვაშა ჩვენს სახელოვან დამცველთ.

ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი.

თანამოძმეთა გამოძახილი.

ჩვენ თანამოძმე მუსლიმან ქართველებს შორის დღესაც კი დაწანწალებენ ბალშევიკების ოსმალ იმპერიალისტების ფულებით მოსყიდული აგენტები და სთესენ მძულვარებას ჩვენსა და ღვიძლ ძმებ შორის. მაგრამ ჩვენი თანამოძმენი დღითი დღე ირკვევიან და ეხლა უფრო ადვილად არჩევენ მტერს მოყვარიდან; ამას მოწმობს ის მისალმებანი, თუ დადგენილებანი, რომლითაც სამეუსილმანო საქართველო სრულს ნდობას და თანაგრძნობას უცხადებს ჩვენს მთავრობას და დამფუძნებელ კრებას.

16 დეკემბერს, სოფელ ხულოში შესდგა აჭარის სოფლების მცხოვრებთა დიდ რიცხოვანი მიტინგი, რომელსაც დაესწრენ: დამფუძნებელ კრების წევრი ი. რამიშვილი და ბათომის ოლქის უფროსი პლატონ მიქაბერიძე. ისიდორე რამიშვილის მოხსენების შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ერთმა ადგილობრივმა მოხუცმა: დიდ მადლობას და სალამს ვუძღვნით ჩვენ ყველანი საქართველოს დამფუძნებელ კრებას და მთავრობას, რომ მათ მიუხედავად ჩვენ მიერ ღალატურ ნაბიჯის გადადგმისა მაინც არ დაგვივიწყეს და ძჭირად ხელს გვიწვდიან და ამ სეტყვაში და ყინვაში გამოგზავნეს დასარიგებლად ეს მოხუცი კაცი. გადაეცით ჩვენ საყვარელ საქართველოს, რომ მრავალმა წელმა ვერ მოგვაშორა ჩვენ ღვიძლ სამშობლოს საქართველოს, ვერ ამოგვაძრო ტკბილი მშობლიური ენა და მით უფრო ამას ვერ შესძლებს აწი შესყიდვით და მოტყუილებით. ვიმედებთ საქართველოს, რომ ამიერიდან ჩვენში ვერ გაივლიან ვერავითარი მტრები საქართველოსი ვერც ქემალისტები, დენიკინელები და ვერც ბოლშევიკები და თუ გაივლიან შვენის ხელით დავიჭერთ და გადავსცემთ მთავრობასო. შემდეგ კრებამ ერთხმად დაადასტურა და დაადგინა გაეგზავნოს მთავრობას და დამფუძნებელ კრებას მისალმების დეპეშა.

შრომის სამინისტროში

საზოგადო და კერძო დაწესებულებებს შრომის მინისტრის ამხ. ა. ბახტაძის ხელის მოწერით შემდეგი ცირკულიარი გაეგზავნა: დეკ. 15 სხდომაზე, სატარიფო პალატამ დაადგინა: დაძაბრავებლებმა მუშებსა და მოსამსახურეებს ნისრათ უნდა მისცენ მანუფაქტურა ან ფეხსაცმელი ან სურსათი სულზე 3.000 მანეთის ღირებულების, მაგრამ არა უმეტეს 10.000 მ. ოჯახზე. ისე რომ ეს ვალი განაღდებულ იქნეს 1921 წლ. განმავლობაში, სატარიფო პალატის მიერ დადგენილ ვადაში. განაწილება უნდა მოახდინოს მუშათა ძაგიდამ, საჭიროებამ თუ მოითხოვა უნდა მიმართონ მუშათა კოოპერატივებს და სხვათა ორგანიზაციებს. რადგან სატარიფო პალატის დადგენილება დაუყონებლივ უნდა იქნეს ასრულებული და მიღებულია რა მხედველობაში, რომ პირველ რიგში მუშათა მაგიდა სახელმწიფო დაწესებულებათა მუშებს დააკმაყოფილებს, სამინისტრო წინადადებას აძლევს საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებებს დაუყონებლივ დაიწყონ მოლაპარაკება მუშათა ორგანიზაციებთან, რათა მათ საწყობებიდან დაუთმონ საჭიროები და სურსათი და თუ არა აქვთ მოაწყონ შესყიდვა, და დახმარებისათვის მიმართონ მუშათა მაგიდას.

გზათა დეპარტამენტში

დეკემბრის 19, სადგურ ნავთლუღიდან გზათა მიმოსვლის დეპარტამენტის დირექტორის ჭიჭინაძის მეთაურობით, უბნის რაიონის დასათვალიერებლად საგანგებო კომისია გაემგზავრა. ამის გამო ჭიჭინაძემ მიმართა კახეთის რკინის გზის სამმართველოს წევრებს

წინადადებით მიიღონ მონაწილეობა კომისიის მუშაობაში.

— თირნეთისა, დუშეთისა, ახალციხისა, ახალქალაქისა, ეკატერინოფელდისა, ონისა, ცაგერისა, ზუგდიდისა, ოზურგეთისა, გალისა, ოჩემჩირისა, სოხუმისა და გუდაუთის სამაზრო ერობათა გამგეობებს, გზათა დეპარტამენტმა შემდეგი აცნობა: 24 დეკემბ. დილის II სათზე გზათა დეპარტამენტის ბინაზე შესდგება შინაგან საქმეთა და გზათა მინისტრის თავმჯდომარეობით თათბირი საგზაო ნატურალულ ბეგრის კანონის გატარებასთან დაკავშირებულ საკითხთა გამოსარკვევათ. ამავე თათბირზე განხილული იქნება განსაკუთრებით საკითხი ხაზინის და ერობათა განკარგულებაში მყოფ გზატკეცილთა, ნატურალური ბეგარის კანონის თანახმად, შეკეთებისა. გთხოვთ ზემოჩამოთვლილ ერობების გამგეობებს გამოგზავნონ თათბირზედ თითო წარმომადგენელი ერობის გამგეობისაგან და თითო ერობის ტეხნიკოსი.

ახალი ამბები

ჭორწინება-განქორწინების პროექტი. დეკ. 23 შესდგება კანონთა გადამსინჯავ სამოქალაქო განყოფილების კომისიის სხდომა. სხდომა შესდგება ქორწინებისა და განქორწინების კანონის პროექტის გადასასინჯად.

ხავაჭრო-სამრეწველო პალატაში. გერმანიიდან დაბრუნდა საავაჭრო სამრეწველო პალატის წარმომადგენელი ინჟენერი მეტრეველი, რომელსაც სხვა და სხვა საგანგებო მინდობილება ქონდა დაკისრებული.

— სავაჭრო სამრეწველო პალატამ ქუთაისის კომერციულ სასწავლებლებსა და ბუჰგალტერიის კურსებს კომერციული ცოდნის განვითარების საჭიროებისათვის დახმარება აღმოუჩინა.

— სავაჭრო სამრეწველო პალატის კომიტეტმა მიმართა რესპუბლიკის საწარმოო დაწესებულებებს წინადადებით რათა მათ მიიღონ აქტიური მონაწილეობა ფრონტის დამხმარე კომიტეტში.

მინალმება მთავრობის თავმჯდომარეს. მთავრობის თავმჯდომარის სახელზე შემდეგი დეპეშები მოვიდა: ბახვის რაიონის სოც. დემ. ორგანიზაციის ყრილობა მიესალმება დემოკრატიის ბელადს და უსურვებს მას დიდხანს სიცოცხლესა და დაუშრეტელ ენერგიას საერთაშორისო დემოკრატიის იდეიის კეთილდღეობისათვის სამუშაოთ. ყრილობა ფიცსა სდებს იბრძოლოს ყოველგვარ ანარქიისა და საქართველოს მტრების წინააღმდეგ.

ბ. ბეგირ-ხაკი-ბეი [შინ. საქ. მინისტრთან. დეკ. 20 შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. ე. რამიშვილი ინახულა ანგორის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბეგირ-საკი-ბეიმ.

მობილიზაციისთვის მადლობა. თბილისის მაზრის ერობის გამგეობა, 9 ამა დეკემბრის დადგენილებით მადლობას უცხადებს მაზრის ადმინისტრაციას მობილიზაციის წესიერად და სასურველად ჩატარებისათვის.

ხაჩუქარი გადახახადების აკრეფისათვის. ტფ. სამ. ერობა მადლობას უცხადებს ყველა მოხელეებს, რომლებმაც მიიღეს გადასახადების აკრებაში მონაწილეობა, ისინი დაჯილდოვებულ იქმნენ შემდეგის სახით: მაზ. მილიციის უფროსი, მისი თანაშემწე და რაიონების მილიციის უფროსები $1^1/_2$ თვის ჯამაგირით, დანარჩენი მილიციონერები და მოხელენი კი ერთი თვის ჯამაგირით.

ანგორის საგარეო საქმ. მინისტრი. დეკემბრის 20. მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ მიიღო ანგორის საგარეო საქმეთა მინისტრი ბექირ-ხალილ ბეი. იმავე დღეს ბექირ ხალილ ბეიმ ინახულა დამფუძნებელი კრების წევრი ა. ჩხენკელი.

სამთო-ტეხნიკურ კურსების გახსნა დეკემბრის 20-ს გაიხსნა სამთო სამმართველოსთან დაარსებული სამთო-ტეხნიკური კურსები. გახსნას დაესწრო: ფინანსთა მინისტრის მოვალ. აღმ. ს. ავალიანი, ვაჭრობა მრეწველობის დეპარტამენტის დირექტორი ალშიბაია, სამთო სამმართველოს დირექტორი ყიფშიძე და სხვ. სამთო სამმართველოს დირექტორმა ყიფშიძემ აღნიშნა კურსების გახსნის მიზანი და მნიშვნელობა ჩვენის ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებისათვის. ყიფშიძემ მადლობა გადაუხადა ს. ავალიანს იმ თანავრძნობისათვის, რომლითაც იგი შეეგება კურსების გახსნის იდეიას. შემდეგ მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს: ს. ავალიანმა და ქართულ-ტეხნიკურ საზოგადოებისაგან გედევანიშკილმა, რომელმაც აღნიშნა კურსების გახსნის დიდი მნიშვნელობა.

ავჭალის თეატრი. 26 დეკემ. 1920 წ. გაიმართება 25 წლ. იუბილეი ავჭალის აუდიტორიის თეატრისა.

სამხატვრო ქრონიკა

ქარხული დრამა. უახლოესი პრემიერა სახელმწიფო დრამის თეატრში იქნება სოფოკლეს ტრაგედია „ანტიგონე“. პიესა იდგმება კ. ანდრონიკაშვილის რეჟისორობით, მხატვარ სიდამონ-ერისთვის ახალი დეკორაციებით და მენდელ-სონის მუსიკით. შემდეგი პრემიერა ჰქონდეს პიესა „მარიამ მაგდალელი“-ა“.

ქარხული ოპერა. ახლო მომავალში სახელმწიფო საოპერო თეატრში წარმოადგენენ მელიტონ ბალანჩივაძის ახალ ორგინალურ ოპერას „თამარ ცბიერი“ს. სიუჟეტი ამ ოპერის აღებულია მგოსან აკაკი წერეთლის პოემიდან.

ერობა

ტვილ. ხამაზრო ერობაში.

ერობამ განკარგულება დაუგზავნა ყველა თემებს, რომ მათ უნდა უზრუნველყონ შეშით მიმდინარე ზამთარში, როგორც მილიცია, აგრეთვე ყველა საერობო დაწესებულებანი. შეშა მიწვდილი უნდა იყოს ბეგრის საშუალებით თავთავიანთ რაიონებში. ყოროღის და ყარაიაზის ტყეებიდან გამოტანილი იქნება შეშა ასი კუბ საქენი ბეგრით დამტკიცებულ ფასებში (6000 მან.) შეშა განაწილდება სამაზრო ერობათა შორის. ამ განკარგულების სისრულეში მოყვანა დაევალა თემებს და მილიციის უფროსებს.

— გამგეობამ ადმინისტრაციულ განყოფილებას დაავალა, რომ მან მისწეროს ადგილობრივ თემებს შეიმუშაონ ნიხრი, როგორც ცხენებზე, აგრეთვე ყველა იმ საშუალებებზე, რომლითაც ისარგებლებენ ერობის მოსამსახურენი ერობის საჭიროებისათვის.

— ერობის დადგენილებით მოხდება ზოგიერთ თემების რეორგანიზაცია. ასე მაგალითად: საგარეჯოს თემი დაყოფილი იქნება სამ თემად: 1) თვით საგარეჯოს თემი; 2) გიორგის წმიდა თემი და 3) მანავის თემი. მანგლისის თემი გაიყოფა ორ ნაწილად: მანგლისის და ჰრიუტის თემებად, ასურეთისა კი—ასურეთის და კოდის თემებად.

სასახლეები საქართველოში.

(დასასრული)

ზუგდიდი, სასახლე დადიანთა, დიდშენი და პალატებიანი, ზღუდე-გოდლიანი. უმთავრესი სადგომი დადიანებისა. ვახუშ. 302.

თელავი, სასახლე დიდი, ვითარცა ქალაქი, ალაგ კვირიკე დიდმა (+1039 წ.)+ ქართ. ცხოვრ. 99. მუნ გარდაიცვალა მეფე ერეკლე II. ვახუშტი 163.

თვალივი, გუდარეხის ხეზედ, სასახლე მეფეთა, ნაშენობა დიდი. ვახ. 78.

თიანეთი, დიდი სასახლე კვირიკე დიდისა (+1039 წ.). ბაგრატ IV „გარდაუდგა თიანეთს და დაწვა დარბაზი ბოდოყისა, სახლი სახელოვანი დიდისა. კვირიკე მეფისა აგებული“. ქ. ცხოვ. 223.

თმოგვი, სასახლე თამარ მეფისა, სარგის თმოგველისა. ვახუშ. 212. შენიშ. 377.

თოლა, კახეთში, სასახლე მეფეთა, ფრიად მშვენვარე ზაფხულს. ამას ეწოდა მაჭა. ვახუშ. 156.

იხანი (კალისი), ტფილისში, შავთელას სიტყვით, შესანიშნავი შენობა იყო, შემკული წალკოტ ბაღებით, ტახტ საჯდომლებით. ოქრო-ვერცხლებრივ, ბრწყინავდა ცეცხლებრივ მისნი კედელ-ყურენი, ფიქლით ძერწილნი, ბივრილიონით, ლიგვრილიონით ურთი-ერთობით შორის შთათხილნი.

კოჯორი (აზეულა), ციხესა ზედა კლდისასა. მის სამხრეთ არს სასახლე კოჯორი, ააშენა მეფემან როსტომ (+1658 წ.) ჴმეტეს მეფემან გიორგიმ და ვახტანგმა (+1737 წ.) აქ დგებოდნენ ზაფხულს მეფენი. ვახ. 62.

მაკაბელი, საინგილოში, სასახლე მეფეთა, რომელსა ეწოდა პირველ ნოხპატო. ვახ. 150.

მანავი, იორზედ ალაგ იმანყულიმ 1716 წ. ვახუშტი 133.

მაღარო, ქიზიყში, სასახლე მეფეთა საზაფხულოდ. ვახუშ. 154.

მთიულეთკარი, გუდამაყარში, ნასასახლევი მეფეთა. ვახუშ. 94.

მოსაბრუნი, საინგილოს მჭვრეტი, გორაზე, იქ, საცა კახეთის ველიდან ალაზანი დაექცნება შირაქისკენ. სასახლენი დიდშენნი. ვახუშტი 149.

ხადარბაზევი, ქციაზე, თამარ მეფის ნასასახლევი. ვახ, 57.

ნაოხარი, სამცხეში, ბოცოს წყალზე, სასახლე თამარ მეფისა, დიდშენი, შვენიერს ადგილს. ვახუშ. 210.

ნაჭადაქევი, სამეგრელოში, სასახლე დადიანისა. ვახუშტი 298.

ნალვარევი, მთიულეთში, მეფეთა ნასაბანლევი, შენებულება დიდი. ვახუშ. 94.

ნაჭარმაგევი, საზაფხულო სასახლე მეფეთა. დავით აღმაშენებელი: „როს ნაჭარმაგევს მეფენი შვიდნი მე პურად დამესხნეს, თურქნი, სპარსნი და არაბნი საზღვართა გარე გამესხნეს, თევზნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა შთამესხნეს, აწი ამათსა მოქმედსა გულზედან ხელნი დამესხნეს“. თამარის მამა გიორგი იდგა ნაჭარმაგევს. სახლსა სალხინოსა ქარ. ცხოვრ 266).

ოზურგეთი, სასახლე დიდშენი, კეთილპალატოვანი, გურიელისა. ვახუშტი 321.

ყინვანი- არაგვზე. შენებულება დიდი. „ქინოვნისა საყდარო, თამარ მეფის სახლ-კარო, ველირსები განა მე თქვენსა არეს ვიხარო“!

რუსთავი, სასახლე ერეკლე 1-ისა. ვახუშ. 66.

სახარია, აბაშაზე, ციხე და სასახლე დადიანისა ვახუშ. 296.

სიბარისი, სასახლე ალეტისა, საზაფხულოდ.

სკანდა, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი ვახუშ. 274.

ტაბახმელა, ტფილისის ახლოს, საზაფხულო სადგური მეფეთა. თამარს აქ დაებადა პირმშო შვილი.

ტფილისი, სასახლე ააშენა ვახტანგ მე-VI მ, შვენიერი, სრულიად სარკითა და მოოქროვილი, დად-მხატვრობათა, ლაჟვარდითა მარმარილოს კედლითა. ვახუშ. 70.

ქუთაისი, სასახლე მეფეთაგან, დიდშენი, შვენიერად რიონსა ზედა წაკიდებული, ასპარეზ-მოზღუდვილი ვარჯად ჰანდრით. ვახუშტი 280.

ყარალეტი, ქიზიყში, ადგილი წყაროიანი, სასახლე, რომელი ჰყვეს ვითარცა მცირე ქალაქი. ვახუშტი 151.

შაორი, რაჭაში, საზაფხულო სასახლე მეფეთა, ადგილის შვენიერებისათვის კეთილ აგარაკოვანი. ვახუშ. 284.

შხეთი (შხეთი), ახალსენაკის ახლოს, გორაზე, სასახლე დადიანისა. ვახუშ. 296.

ცაიერა, მთიელეთში, ნასასახლევი მეფეთა, ნაშენი დიდი. ვახუშ. 95.

ჭალა, ქართლში, შენობა დიდი სასახლეთი. ვახუშ. 105.

ხეთა, სამეგრელოში, ციხე და სასახლე დადიანისა. ვახუშ. 300.

ხონი, სასახლე აფხაზეთისა კათოლიკოზისა. ვახუშ. 299.

ხორანბუჯი (ჰოეთი) სასახლე და სიმაგრე ქიზიყის ერისთავებისა. ვახუშ. 153.

ყოველი ასეთი ნაშთი ქართული ეროვნული ძეგლია და ისე უნდა კრძალვა, ვითარც ჩვენ ყოველთაგანის ორთავ თვალისა და თუ რომელიმე ცოცხლად არ გადარჩენილა დროთა ვითარებისა გამო, მათ ნანგრევ ნატეხების აღწერილობით მაინც აღვადგინოთ მათი თავდაპირველ სახე, რომ ისე კვალ წმინდად არ დაიკარგნენ. ვით მოისპნენ სასახლეები სატახტო ქალაქების მცხეთისა და უჯარისა.

ს. ჯანაშვილი.

გურიის ერობაში.

საერობო მეშვიდე არა ჩვეულებრივი ყრილობა.

ყრილობა გაიხსნა 5 დეკემბერს, ნაშუადღევის 5 საათზე ერობის გამგეობის ბინაზე სამაზრო ერობის გამგეობის თავმჯდომარის ჭანტურიშვილის მიერ. დაესწრო 22 ხმოსანი, არ გამოცხადდა 4 ხმ.

ყრილობის თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა ხმ. ბენიამენ ჩხიკვიშვილი, მდივნებათ: კ. ბერიძე და მ. საბაშვილი.

ყრილობამ უცვლელათ მიიღო და დაამტკიცა გამგეობის მიერ წარმოდგენილი შემდეგი დღის წესრიგი:

1) განხილვა და დამტკიცება 1919 წლის ანგარიშისა.

2) ყრილობის სარევიზიო კომისიის მოხსენება.

3) გამგეობის მოკლე მოხსენება თავის მუშაობაზე უკანასკნელი ყრილობის შემდეგ.

4) მომავალი საერობო არჩევნები.

5) სასურსათო ბეღლებიც დაარსება.

6) ზოგიერთ პირთა უძრავ ქონების იძულებით ჩამორთმევა თანახმად 1919 წ. ივლისის 11 კანონისა.

7) ახალი თემების დაარსება.

8) სავალდებულო დადგენილება აგარაკ-ბაღმაროს შესახებ.

9) ხარჯთ-აღრიცხვის გარეშე გაწეული ხარჯები.

10) დღიურების შესახებ.

11) სათემო მილიციის შესახებ.

12) საექიმო და სანიტარიო პერსონალის ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესება.

13) მიწის ერთდროული გადასახადის ანგარიშში აღებული ვალის შესახებ.

14) გამგეობის წევრის შალვა ჯოჯუას განცხადება გამგეობიდან გასვლის შესახებ.

15) ესერების ფრაქციის განცხადება კ. გურგენაძის შესახებ.

16) გამგეობის წევრების არჩევნები.

17) სხვა და სხვა ყრილობის კომისიის არჩევნები.

თავმჯდომარის ბ. ჩხიკვიშვილის წინადადებით ყრილობა, მარტივი რეგლამენტის მიღების შემდეგ, შეუდგა დღის წესრიგის განხილვას.

1. განხილვა და დამტკიცება 1919 წ. ანგარიშისა.

მოხსენებას აკეთებს გამგეობის წევრი გ. ბერეჟიანი.

1919 წლის ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც გამგეობამ შეადგინა ამავე წლის დასაწყისში და მაშინვე დაამტკიცა ყრილობამ—ამბობს ის—შემუშავებული იყო თანახმად ამ პირობების მიხედვისა, რომელიც მაშინ არსებობდა. საერთო პირობები მას შემდეგ შეიცვალა მთელ რესპუბლიკაში და, რასაკვირველია, ამ პირობების შეცვლამ იქონია გავლენა ხარჯთ-აღრიცხვის შესრულებაზედაც. ეს წელი უმთავრესად საორგანიზაციო წელი იყო, რადგან ახლად შექმნილ საერობო დარგებს უნდოდა საფუძვლის ჩაყრა და სწორი მიმართულების მიცემა.

გამგეობის მუშაობა ამ წელში უმთავრესად ასეთ მუშაობაში გამოიხატება. მაგრამ ეს მუშაობა თხოულობდა გამგეობისაგან აუარებელ თანხას. მას მაშინ, ისე როგორც დღესაც გააჩნდა არავითარი განსაზღვრული წყარო შემოსავლისა. გამგეობა იძულებული იყო უმთავრესი ყურადღება მიექცია, ორგანიზაციულათ დაელაგებია საერობო დარგები, მოეწვია სათანადოსამკოდნე საერობო მოსამსახურენი და ასე განეხორციელებია მიზანი საერობო საძირკველის ჩაყრისა. გამგეობამ ეს ორგანიზაციული მუშაობის ნორმალურათ დაყენება ასე თუ ისე შესძლო. მაგრამ ასეთი მუშაობისათვის საჭირო იყო აუარებელი თანხა.

როგორც ზევით იყო ნათქვამი, გამგეობას განსაზღვრული წყარო შემოსავლისა არ ქონდა და მიტომ უმთავრეს ენერგიას ხარჯავდა შემოსავლის წყაროს გაჩენისათვის, რომ ისე დაეკმაყოფილებია ისეთი დარგები ერობის ცხოვრების, რომლის ორგანათაც შეჩერება არ შეიძლებოდა.

მართალია ამ წელში გამგეობამ სრულიად ვერ შესძლო გაეტარებია საერობო მუშაობა, მაგრამ ძალ ღონის მიხედვით გაიღო, რის გაღებაც შეიძლებოდა. მთელი გასავალი 1919 წლისა უდრის 9.512.139 მან. 55 კაპ. ყრილობის მიერ დამტკიცებულ ხარჯთ-აღრიცხვის ეს თანხა სჭარბობს 2.316.549 მან. 25 კაპ., ეს გარემოება გამოწვეულია მით, რომ 1919 წ. განმავლობაში ორჯერ მოხდა ყრილობის მიერ მოსამსახურეთა ჯამაგირის მომატება და გარდა ამისა სხვა ხარჯებიც თანაბრად გაიზარდა. მთავრობის მონაწილეობა ამ ხარჯებში უდრის 6.050.637 მან. 86 კაპ., დანარჩენი 3.461.501 მან. 69 კაპ. შეადგენს თანხას, რომელიც სხვა და სხ. შემოსავლის სახით შემოვიდა ერობის სალაროში.

წინა ყრილობაზე გამგეობამ მოგახსენათ, რომ მოსალოდნელი იყო 1919 წ. მიგვეღო დეფიციტი, მაგრამ რადგან სანიტარული გადასახადი, რომელიც ხარჯთ-აღრიცხვაში სრულიად არ იყო გათვალისწინებული, გაწერილი იყო კი ამ წელში, მოსალოდნელი დეფიციტი არ დაგვირჩა. წინაალმდეგ, ეს წელი დასრულდა მოგებით, რომელიც უდრის 98,864 მან. 28 კაპ. რომელიც შეტანილი უნდა იქნას 1921 წლ. შემოსავლის ხარჯთ-აღრიცხვაში.

უკანასკნელათ მომხსენებელი მეხლოშრივ აცნობს ყრილობას 1919 წლის ბალანსს, შემოსავლის წყაროებსა და ხარჯებს. (იხ. დამატება 1).

ხმ. მირ. რამიშვილი—წევრი სარევიზიო კომისიისა, აცხადებს, რომ სარევიზიო კომისიამ განიხილა და დაამტკიცა გამგეობის მიერ წარმოდგენილი 1919 წ. ანგარიშებიო.

ყრილობა ერთხმად აღიქვენს: დამტკიცდეს ერობის გამგეობის 1919 წლის ანგარიშები.

2) ყრილობის სარევიზიო კომისიის მოხსენება.

სარევიზიო კომისიის წევრი **ხმ. მ. ჩაჩიშვილი** კომისიის სახელით აკეთებს მოხსენე-

გას ერობის გამგეობის მოქმედების შესახებ.

ამა წლის ივნისიდან ერობას საარევიზიო კომისია, ამბობს ის—შეუდგა დაწესებულებათა რევიზიას. ერობა მთელი სახელმწიფოა, უველა მისი სპეციალური ფუნქციებით. აგრეთვე ის დიდი სამეურნეო დაწესებულებაა, და ასეთი დაწესებულების რევიზია მოითხოვს დიდ საქმის ცოდნას და აგრეთვე დიდ დროსაც. მიუხედავათ იმისა, რომ ამ სიძნელეს კარგად გრძნობდა საარევიზიო კომისია, ის მაინც, თანახმად ყრილობის დავალებისა, შეუდგა მუშაობს ივნისის 28-ას. ძისი მუშაობა სწარმოებდა შეუწყვეტლივ 16 ივლისამდე. შემდეგ შემოდგომაზე კვლავ ანახლებს თავის მუშაობას.

ამ ხნის განმავლობაში საარევიზიო კომისია გაეცნო მუშაობას ერობის უველა განყოფილებასა და დაწესებულებებში.

მოკლეთ აღვნიშნავთ იმ საერთო ხასიათის დეფექტებს, როელნიც შენიშნულ იქმნენ საარევიზიო კომისიის მიერ:

1) ერობის ბევრ დაწესებულებაში არ აღმოჩნდა ინვენტარის წიგნები სათანადოთ დანომრილი, შეფასებული და შემოწმებული, ხშირათ ვხვდებოდით უბრალო შეუმუშავებელ სიებს, რის გამო დიდ ძალი ქონება ერობისა არ იყო სათანადო დაცული დაკარგვისაგან.

2) ზოგი დარგი ერობის დაწესებულებათა, როგორც მაგალითად, ქარავანი, იწვევს დიდძალ ხარჯებს, მაგრამ არ არის საქმე დაყენებული ისე, რომ გამოარკვიოთ მისი შედეგი, ამართლებს თუ არა თავის არსებობას.

3) არ იყო დაყენებული საქმე რიგზე სასურსათო და სავაჭრო-სამრეწველო დარგებში, რაიც გამოიხატება იურიდიულ მხარის დაუცველობაში, სათანადო ხელწერილების და ქონებრივ გარანტიის უქონლობაში; ზოგ დაწესებულებაში, საქონლის წიგნის და იგრეთვე კასის წიგნის უქონლობაში.

საქონლის მიმღებ-მომტანი ხშირად ერთი და იგივე პირისგან იყო. მიღებულ საქონელს არ ამოწმებდა კომისია, რაიც შესაძლებლად ხდიდა ბოროტ-მოქმედებას, იმ დროს, როცა ერობის დაწესებულებანი ყოველ მხრივ და განსაკუთრებით ანგარიშების მხრივ მაგალითს უნდა იძლეოდეს მაზრისათვის.

4) ზოგ შემთხვევაში, გამგეობას ამა თუ იმ საქმის დაწყების დროს, ეტყობა უგეგმობა და გაუთვალისწინებლობა იმ საერთო პირობებისა, რომელმიაც მას უხდებოდა შექმნა ამა თუ იმ დაწესებულებებისა, რის გამო დაწესებულება ვერ იჩენდა შესაფერ სასიცოცხლო უნარს და ადრე ქრება (ფურნე, საფართლო დუქანი), რაც ფრიად ვნებს ერობის პრესტიჟს და იწვევს უზომო ხარჯებს.

5) გამგეობა ვერ იჩენდა შესაფერ უნარს თავის დაწესებულებათა კონტროლის გაწევაში.

6) ავანსები დროზე არ სწორდება—არის შემთხვევა, რომ დიდი ხნის სამსახურიდან გასულ ერობის ყოფილ თანამშრომლებზე ითვლება გაუსწორებელი ავანსი.

7) ბუჰკალტერი ოხრახუთი თვის ჩამორჩენილია.

8) კომისია აღნიშნავს აგრეთვე იმ გარემოებასაც, რომ გამგეობას ვერ მიუქცევია ჯეროვანი ყურადღება ისეთ ფრიად მნიშვნელოვანი დარგისთვის, როგორიც არის სასოფლო მეურნეობა, და ზოგ შემთხვევაში ვერ გამოუყენებია ერობის რესურსები იმ რაოდენობითაც კი, რომელიც მის ყრილობის მიერ ჰქონდა ნაკარნახევი, მაგალითად, ყრილობას გადაუდვია პირუტყვთა ჯიშის გაუმჯობესებისათვის 20.000 მან., სამეურნეო კურსების და ლექციებისათვის 6,000 მან., მეტეოროლოგიურ სადგურისათვის 3,000 მან.

გამგეობას ამ დარგში არ გაუკეთებია არაფერი, რადგანაც არაფერია დახარჯული. შინა მრეწველობაზე გადაუდვია 10,000 მან. და დაუხარჯავს 250 მან.

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გამგეობას გაუწევია ხარჯები ისეთ საქმეზე, როგორიც არის საცდელ მინდვრების მოწყობა, სადურგლო სახელოსნოს მოწყობა, სამეურნეო სკოლების დახმარება, რაც უნდა ჩაეთვალოს პლიუსათ.

დიდ დადებით მუშაობათ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ გამგეობამ ამ მოკლე ხნის განმავლობაში შესძლო შეეძინა დიდძალი ქონება სწარმოო და სავაჭრო საშუალების სახით: როგორც არის ხერხის ქარხანა ნატანებში, ორი სტამბა, შეიძინა ერთი და დაარსა სამი აფთიაქი. შეიძინა ორი წიგნის მაღაზია; დაარსა ცენტრალური საავადმყოფო თავისი ქირურგიული და ბაქტეორიოლოგიური განყოფილებით. აგრეთვე შეიძინა დიდძალი მასალა ხიდეებისათვის.

მოაწყო სადურგლო, საცდელი მინდორი აკეთში და სხვა. მეტად დიდ მნიშვნელოვან საქმეთ ჩაეთვლება გამგეობას რაიონის ნაკრების გამაგრება და სხვ.

საარევიზიო კომისია ერთი წუთითაც არ უშვებს, იმ აზრს, რომ უველა ამ მოხსენებაში აღნიშნული დეფექტები მიეწეროს გამგეობის ბოროტმოქმედებას.

გამგეობა მეტად დიდ ენერგიას ხარჯავს თავის მოვალეობის პირნათლად შესასრულებლათ. ეს დეფექტები მიეწერება იმ გარემოებას, რომ ერობა ამ სახით, როგორიც დღეს ჩვენში არსებობს—ახალი საქმეა, რომელსაც წარსულში არ აქვს არავითარი ისტორია და პრაქტიკა. ის არის მეტად რთული და დიდი საქმე. ერობის ხელში თავს იყრის დიდძალი ქონება, მრავალი სავაჭრო დაწესებულებანი და ამავე დროს მას არ ყავს სათანადო კადრი მომზადებული და იდეურ თანამშრომლებისა. უკანასკნელთა დიდ ნაწილს არ აკავშირებს არც იდეური და არც მატერიალური მხარე ერობასთან და ასეთ პირობებში საქმის გაძღოლა უდეფექტოთ მეტად ძნელი ხდება.

საერთოდ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ერობის საქმე თუმცა ნელის ტემპით, მაგრამ მაინც თან-და-თან დგება კალაპოტში. გამგეობა მუშაობის პროცესში იწვრთნება, იძენს გამოცდილებას და ასწორებს დეფექტებს.

იგივე ითქმის თანამშრომლებზედაც.

საარევიზიო კომისია ერობის მომავალს, მიუხედავათ აღნიშნული დეფექტებისა, უყურებს იმედიანათ!!

ბუხეინ.

(დასასრული იქნება)

სენატი

1920 წლის, 23 დეკემბერს სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების საკრებულო სასამართლო სხდომაში განსახილველად დღეს 10 საათზე დანიშნულია შემდეგი საქმეები:

საქ. № 97. მაგ. 1. საკასაციო პროტესტი ტფილისის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხ. ამირაჯიბისა აღნიშნულ სახ. განაჩენზე, რომლითაც დავით სტეფანოვი ცნობილია დამნაშავედ 1546 მუხ. გათვალისწინებულ ბოროტ-მოქმედებაში.

საქ. № 108. მაგ. 1. საკასაციო საჩივარი ბრალდებულ ლაზარე მესხიასი ქუთაისის ოლქის სასამართლოს განაჩენზე, რომლითაც იგი ცნობილია დამნაშავედ სასჯ. დებ. 1481 მუხ. აღნიშნულ ბოროტ-მოქმედებაში.

საქ. № 93. მაგ. 2. საკასაციო საჩივარი ბარათ და გიორგი კუბლაშვილებისა შორაპნის მაზ. სამ. ოლ. ყრილ. განაჩენზე, რომლითაც იგინი ცნ. დამ. თანხ. 155 მ. ნ. წ.

საქ. № 144. მაგ. 1. ბრალდებულ მიხეილ გლონის დამცველის ნაფ. ვეჭ. ბარათაშვილის საკასაციო საჩივარი ტფილისის ოლქის სასამართლოს განაჩენზე, რომლითაც გელოვანი ცნობილია დამნაშავედ ს. დ. 1629 და 1632 მუხ გათვალისწინებულ ბოროტ. მოქმედებაში.

საქ. № 132. მაგ. 2. ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს საბაჟო ნაწილის უფროსის საკასაციო საჩივარი ტფილისის სამოძრ. ოლქის ყრილ. განაჩენზე რუბენ ახუნიანცის საქმეზე, რომელიც ცნობილია დამნაშავედ საბაჟო წესების დარღვ.

საქ. № 139. მაგ. 2. საკასაციო პროტესტი სამხედრო პროკ. ამხ. ტატიშვილისა და საკ. საჩივარი ლეიტენანტ ხუნდაძისა სამხედრო სასამართლოს განაჩენზე, რომლითაც ხუნდაძე ცნობილია დამნაშავედ თანახმად 232. მუხ. სამხ. სასჯ. დებ.

განცხადებანი

დაიკარგა შესანახი კვიდანცია № 44250—1500 მან. მიღებული სახელმწიფო ბანკიდან სოფიო მაკარის ასულის გურამიშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4312 3—3

დაიკარგა პასპორტი, მიღებული პარიზში 1912 წ. წლიური ბილეთი მიღებული სქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან 1920 წ. და ტფ. შემნახველ კასის წიგნაკი ივონა ლაზარეს ასული კოზნავის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4333 3—2

დაიკარგა უვადო ბილეთი მიღებული ფოთის პოლიციის სამმართველოდან 2, ორი ვექსელი თითო ასი ათას მანეთიანი სოხუმის კოოპერატივის „ზარია"ს გამგეობის ხელმოწერილი, 3, სამი რკინის გზის დუბლიკატი, 4, ერთი ნოტარიული პირობა მოცემული სოხუმის კოოპერატივის „ზარია"ს გამგეობის მიერ. 5, მეორე ნატარიული პირობა სოხუმის რაიონულ კოოპერატივს კავშირის გამგეობის მიერ მიცემული. 6. სოხუმის მუშათა მაგიდის რწმუნებულობა საქონლის მიღების შესახებ, და სხვა საბუთები—სევასტი მიზარბეგისძე რამიშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4322 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 97 მიღებული ტფ. პოლიტეხნიკუმიდან მიხეილ ზაქარიას ძე ცალქალამანიძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4278 3—3

დაიკარგა პასპორტი № 4013 მინას იაკუბოლლის სახელზე, მიღებული სპარსეთის საკონსულოდან ტფილისში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4268 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 1072 მიცემული ს. წოუკრის სამმართველოდან (თემირ ხან-შურა). გაუქმებულად ჩაითვალოს. 4269 3—3

დაიკარგა პასპორტი, კავშირის წიგნაკი და სახაიეს პატენტი აბდულა ხალილ ოღლის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4273 3—2

დაიკარგა პასპორტი ალექსანდრე ბალაშევსკის ლალაევის სახელზე, მიღებული ბაქოს პოლიციმეისტრის სამმართველოდან 1919 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4271 3—3

დაიკარგა მოწმობა მიცემული 1-ლი ქვეითა რაზმის სათადარიგო გუნდიდან № 1006 ალექსანდრე ივანეს ძე მინდაძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4256 3—3

დაიკარგა სამსახურის ფურცელი კუპონი № 3, მიღებული მე-7 პოლკიდან დავით ზაქარიას ძე აკოფიანის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4292 3—3

დაიკარგა საიჯარო პასპორტი ეგიაზარ რაშოიანცის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4286 3—3

დაიკარგა შვებულების ბარათი № 3516 ალექსანდრე რიკრიკაძის სახელზე, მიღებული სანაპირო ჯარების შტაბიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. (უფ.) 3—1

ტფილისის ეპარქიის სამიტროპოლიტო სასამართლოში ვასილ იოსების ძე ვაშაკიძემ შემოიტანა განცხადება, რომ მისი ცოლი ანნა იოსების ასული ვაშაკიძისა, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1911 წელს უკანონოდ დაიკარგა 1915 წლიდან. უველა ვინც იცის ანნა იოსების ასული ვაშაკიძის მისამართი, საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით ვალდებულია სამიტროპოლიტო სასამართლოს განუცხადოს ზემოხსენებული პირის შესახებ საჭირო ცნობები დღიდან ამ განცხადების დაბეჭდისა ორი თვის განმავლობაში. 4368 3—1

დაიკარგა ატესტატი გაცემული ხონის სამასწავლებლო სემინარიიდან 1909 წლის ივნისში დოროთე ნიკოს ძე კიტიას სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4346 3—1

დაიკარგა მორიგ ჯარში გაწვევის უბანზე მიწერილობის მოწმობა № 54-ბრამ მიქატიჩის ძე კუპალიანცის სახელზე, მიღებული 8 კომისარიატიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4364 3—1

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ზვარეთის თემიდან და სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა, მიღებული ონის (რაჭა) სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან ლევანტი ივანეს ძე გოშაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4365 3—1

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 106, მიღებული ქუთ. მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან და შოფერობის ატესტატი № 9 ვალერიან სპირიდონის ძე დაშნიანის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4342 3—1

დაიკარგა სოციალური დახმარების წიგნაკი № 392 ანა იოილის ასული ქვლივიძის სახელზე, მიღებული შრომის სამინისტროდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4343 3—1

დაიკარგა პასპორტი ნიკიფორ სემიონის ძე ჩუმენკოს სახელზე, მიღებული ტფ. პოლიციმეისტრის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4344 3—1

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ზვარეთის თემიდან და ნუსხა, მიღებული ონის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან სოლომონ რევაზის ძე ტომარაძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4345 3—1

დაიკარგა მოწმობა ღვინის სარდაფის შესახებ ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე მარქაროვის სახელზე, მიღებული სააქციზო სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4347 3—1

დაიკარგა საოჯახო პასპორტი № 1721: მიცემული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. ზისკანტ უშერის ძე ტრაცის სახელზე გაუქმებულად ჩაითვალოს. 4352 1—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა მიღებული ტფ. ქალ. მილიციის სამმართველოდან, შალვა ივანეს ძე ხატიაშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4354 3—1

დაიკარგა მოწმობა № 2063 კონსტანტინე კონსტანტინეს ძე მეგლიცკის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიტეხნიკური ინსტიტუტიდან გაუქმებულად ჩაითვალოს. 4356 3—1

დაიკარგა ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მიღებული მატრიკული მიხეილ დიმიტრის ძე ინგოროყვას სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4359 3—1

დაიკარგა პასპორტი მიხეილ მიხეილის ძე ჟორნოს სახელზე, მიღებული ტფ. პოლიციმეისტრის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4360 3—1

დაიკარგა საოჯახო პასპორტი მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან მიხეილ მინასის ძე ტომასიანცის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4348 3—1

დაიკარგა პასპორტი მიღებული (დუშეთის მაზრა) სოფ. ლეხურის თემიდან არტემ შამილის ძე ხუბაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4349 3—1

დაიკარგა პასპორტი მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან, სარეგისტრაციო მოწმობა მიღებული ტფ. მეხუთე სამილიციო უბნიდან და ვაჭართა და მრეწველთა პროფესიონალური კავშირიდან მიღებული წიგნაკი. იაკოფ იეშუაკის ძე ელიავზერაშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4350 3—1

დაიკარგა პასპორტი მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან ნინო ალექსანდრეს ასულის მურადოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4351 3—1

ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოება

ამით საყოველთაოდ აცხადებს,

რომ თანახმად წარმუნებულთა საგანგებო კრების დადგენილებისა,

წესდების 12 მუხლში აღნიშნული მსესხებელთაგან ასაკრეფი ხარჯი 1921 წლ. 1 იანვრიდან მსესხებელთ გადახდებათ 3%-ს მაგივრათ 9% მთელ გასესხებულ თანხიდან.

1040 1—1